

მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმების გავლენა
ინფლაციასა და გამოშვებაზე, საქართველოს მაგალითზე

მაგისტრანტი:

ნიკა აბულაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯ)
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და
საფინანსო საქმე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

გიორგი დანელია



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნიკა აბულაძე, ნ.აბულაძე 24.06.2024”

აბსტრაქტი

ნაშრომის დაყოფა მოხდა ორ ნაწილად პირველ ნაწილში წარმოდგენილია შემდეგნაირად, არის თეორიული ნაწილი სადაც, ძირითადად ყურადღება მიექცა თემის ირგვლივ ლიტერატურას. აღნიშნულ თეორიულ ნაწილში, ანხილულია საქართველოში ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი, შემდგომ არის, აღწერილი მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმები. ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ემპირიული კვლევა, რომლითაც შეფასებული იქნა საქართველოში მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმები, საპროცენტო არხისა და გაცვლითი კურსის არხის ჭრილში. ემპირიული კვლევა, მოხდა მონეტარული პოლიტიკის შოკური ეფექტების გამოყენებით ვექტორული ავტორეგრესიის მოდელის საფუძველზე სადაც გვონდა ენდოგენური და ეგზოგენური ცვალდები. პერიოდს რაც შეეხება ნაშრომში აღებული ემპირიული კვლევის ჩასატარებლად, 2010-2023 წლის კვარტალური მონაცემები . სადაც, ჯამში მოხდა 52 ცვლადზე დაკვირვება. შეზღუდული ავტორეგრესიის ვექტორული მოდელის საფუძველზე აიგო იმპულს-რეაქციების გრაფიკები, რომელთა დახმარებით მოხდა იმის გაგება თუ რა გავლენას ახდენდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდის ეფექტი ინფლაციასა და გამოშვებაზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გამოშვების გეპის ვარიაციის ყველზე დიდი ნაწილი თავისივე შოკს უჭირავს, შემდეგ პერიოდებში კი სხვა შოკებთან აქვს გადაკვეთა. თუ მონეტარული პოლიტიკა იზრდება, მაშინ ხდება ეთობლივი მოთხოვნის მომენტალური შემცირება, და ასევე საბოლოოდ მიიღება ისეთი შედეგი როგორცაა, გამოშვების და ინფლაციის მაჩვენებლის შემცირება. აღსანიშნავია, რომ გაცვლითი კურსის არხმა დაახლოებით ეს შედეგი აჩვენე მიუხედავად იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთის არხთან შედარების სუსტი გავლენა აქვს ინფლაციაზე და გამოშვებაზე.

საკვანძო სიტყვები : ინფლაციის თარგეთირება, გამოშვება, ერობლივი მოთხოვნა, საპროცენტო განაკვეთი, გაცვლითი კურსი, მონეტარული პოლიტიკა.

Abstract

The work was divided into two parts, the first part is presented as follows, there is a theoretical part where attention was mainly paid to the literature surrounding the topic. In the mentioned theoretical part, the inflation targeting regime in Georgia is explained, and then the monetary policy transmission mechanisms are described. The second part of the paper presents an empirical study that evaluated the mechanisms of monetary policy transmission in Georgia, in terms of the interest rate channel and the exchange rate channel. Empirical research was conducted using the shock effects of monetary policy based on the vector autoregression model where there were endogenous and exogenous variables. As for the period taken in the paper to conduct the empirical research, the quarterly data of 2010-2023. where, in total, 52 variables were observed. Based on the limited autoregression vector model, impulse-response graphs were constructed, with the help of which it was possible to understand the effect of the increase in the monetary policy rate on inflation and output. It is necessary to take into account the fact that the largest part of the variation of the release gap is contained by its own shock, and in the following periods it crosses with other shocks. If monetary policy is increased, then there is a momentary decrease in aggregate demand, and also eventually results in a decrease in output and the rate of inflation. It is worth noting that the exchange rate channel showed approximately this result despite having a weak impact on inflation and output compared to the interest rate channel.

Key words: inflation targeting, output, national demand, interest rate, exchange rate, monetary policy.